

423
1875

21x6.

ବୋଲକାଳୀ

1875

ପାତ୍ରାଳୀ ଓ ଟେଲିଗ୍ରାଫୀଲ୍

ମୁଦ୍ରଣ ମାତ୍ରା ମୁଦ୍ରଣ ମୁଦ୍ରଣ

ମୁଦ୍ରଣ ମୁଦ୍ରଣ ମୁଦ୍ରଣ

- I.—ମାତ୍ରାଳୀ ପାତ୍ରାଳୀ— ୦୩. କ୍ଷେତ୍ରକାଳୀଲୀ
II.—ଶବ୍ଦିଲାଙ୍ଘି ମାଲ୍ଯେଦି, (ଲ୍ୟେସି) — — — ମିଳ. ଜ୍ୟୋତିଶିଳ୍ପୀଙ୍କ
III.—ଶବ୍ଦିଲାଙ୍ଘି ମାଲ୍ଯେଦି, (ଲ୍ୟେସି) — — — ମିଳ. ଜ୍ୟୋତିଶିଳ୍ପୀଙ୍କ
IV.—ଏ. ପ. ଲ....ଅଶ୍ଵଲୀ, (ଲ୍ୟେସି) — — — କାଳ. କାଳିଶିଳ୍ପୀଙ୍କ
V.—ଶବ୍ଦିଲାଙ୍ଘି ମାଲ୍ଯେଦି, (ଲ୍ୟେସି) — — — — — ତାଙ୍କିଶିଳ୍ପୀଙ୍କ

ମୁଦ୍ରଣକାରୀ

ପ୍ରକାଶକ କ୍ଷେତ୍ରକାଳୀ ପାତ୍ରାଳୀ, ଶବ୍ଦିଲାଙ୍ଘି, ବେଳୁତ. ୧୯୭୩ମୀ.

1875

მეტადის ცხოვრება.

423

თ ა ვ ი I. 1845

62

მეტადის ცხოვრება, მდინარე ეფრაიმისა და ინდოების თეატრის შორის მდებარეობს ნახევარ კუნძული, რომელსაცა ეწოდება არაბეთი. მრთელს აზიაში რამდენიმე საკუნძულობის განმავლობაში ისეთი არქიტოტა იყო, რომ მეფენი მრავალჯერ იცვლებოდნენ, ხალხი თითქმის სრულებით სწერებოდნენ და იმათ მაგირ სხეული ტომნი სახლდებოდნენ, სამზღვრებს სხვა და სხეული ტოდება ემლეოდათ და ამის მიზეზით მრთელი ევროპა და აფრიკაც მოუსვენებლობაში იყო, მხოლოდ ერთი არაბეთი ერთს მდგომარეობაში იმულებოდა და იმ ნახევარ კუნძულს არა დატარი შემოსვევა არ აღაშფოთებდა; ისინი არა დატარი თესლებით არ დაუმოწავებია და არა ვითარება მტკეს არ ტარება ბია.

როგორც თითონ არაბეთის მეისტორიუნი შოგა
ვითხრობენ, იმითი მხარე თუ უძროეს დროთვან
არებობს, ასე რომ, როდესაც წარღუნა გათავდა დ
ნოეს შთამომავლობა გამრავლდა, განივენენ რამდენმე
შტოებად დ იმათ პირველთაგანი ორნი შტონი, რომელ-
თაცა ეწოდებოდათ ადიტი დ ფამუდიტი, მოვიდნენ ამ
ზემოსენებულ კუნმულზედ დ იქ დასახლდნენ; მავრამ
თუმცა ამითი შთამავლობა დიდ სანს არსებობდა, მაგ-
რამ ბოლოს სრულებით ამოწყდა, თავის ურწმუნოე-
ბასა გამო. სამის შთამომავლობათაგანი მხოლოდ და
დარჩა ერთი, რომელსაცა ეწოდებოდა იარაბი. ამან
დააფუძნა ამ ნახევარ კუნმულზედ სამეფო იქმენი, აქა-
დან დაერტყა ამ ქვეუას არაბეთი. არაბის შვილს ერტყა
ჯურგამ, ამასა ჰევანდა ქალი და ეს ქალი მიათხოვა
იზმაილი, რომელიცა იუო შვილი პატრიარქის აბ-
რამისა დ რომელიცა გამომევებულ იუო თავის მამის
სახლითვან. ამ იზმაილს არაბეთში გაუჩნდნენ თორ-
მეტნი შვილნი, რომელნცა შეიქმნენ ბოლოს მოთე-
ლის შერის ბრძანებელნი. ორთა უფროსთა შვილებ-
თა ნევაიაფას დ ქიდარსა დიდი შეძლება დ სიძლიდოე
ჭიონდათ; ჰევანდათ ურიცხვნი საქონელი. შეულიდგანვე
დიდი განსხვავება იუო იმ არაბთა შორის, რომელნცა

იდგნენ ჭაკე ადგილებში, ნაედფირის დ იმ არაბთა შორის იდგნენ ჭაკე ადგილებში, ნაედფირის დ იმ არაბთა შორის. რომელნიცა სცხოვრებდნენ ქარვებში მთიან ადგილს. პირველნი მიზდევდნენ ვაჭრობასა, გაჭრობათ საქონეული მეტამელის ზღვით დ თოვების ინდოეთთან ჭირნდათ დაკავშირება, სოლო ძელონი ხენა-თესვით გამოდიოდნენ.

იმათი ჩირველი სახმარი საქონელი იუო აქლემი, აქლემებით მიჭირნდათ დ მოჭირნდათ საქონელი; ქარვებში მდგომნი არაბები, მსახურობდნენ ამ ვაჭრებს მოჯამაცირებად. იმათ დიდი აღებ-მიცემობა ჭირნდათ მარტინიასთან, ძველ სირიასთან, რომლის ინდოეთთან, ეფიოპიასთან, ძველ სირიასთან, რომლის ძირწით მათ დაკარგეს ნამდვილი თავიანთი ჭველი თვისება. მხოლოდ, თუ იუო კიდევ დარჩომილი ჰატ-რიარსარური ცხოვრება, ეს იუო მთიულ არაბებში, რომელნიცა უტრიფოდნენ თავიანთ მშენეურის დ დიდებულის ბუნებასა; ერთს ალაგს მოლევდნენ მიწის მობულის ბუნებასა; ერთს ნაუოფერება მოაკლევებოდა, დო წავისავალია დ მიწას ნაუოფერება მოაკლევებოდა, დო წავისავალია დ დასცემდნენ ქარვებს დ დასახლებოდნენ სხულებას, თავისი საკუთარი ემირი ჭევანდა, როგორც ადგებას, თავისი საკუთარი ემირი ჭევანდა, სხულებას, რე ჰატრიარსი იუვნენ, ნიშნად იმის უპირატესობისა,

იმის კარგის წინ, ერჭო შები, მაგრამ ეს უფლება მე-
მკვიდრეო ითი არ იყო, ერთის ემირის სიკვდილის
შეძღვომ, შეორე ემირის ირჩევდა საზოგადოება, რომ
მელიცა ამოარჩევდა ღირს სამსახურობით და პატიოს-
ნებით. იმას უფლებად ჰქონდა დაწერო ომი მეზობე-
ლებთან, შერიგებოდა და დახვედროდა უცხო ქავენის
სტუმარსა, მაგრამ როგორც ეს უფლება, ასე სხშია,
გარეშემოზღუდული ჰქონდა და უნდა ეოფილიყო ერის
ნებით. ამას გარდა, თუმცა არაბი მრავალ საზოგა-
დოებად იუნენ განუოფილნი, მარამ მაინც ისე
მრთელს სალსს ერთობა ჰქონდა, რომ ამ ემირების თა-
ვი და უფროსი, ერთი ემირი იყო მრთელის არაბებისა,
რომელსაცა ჰქონდა ციხე, ხალხის გეთილმდგომარეო-
ბისა და საჭიროებისათვის; ამ ემირების უფროსი უწო-
დებზენ შეისს ჩეცნ აქვანბობით საზოგადოებას, მაგ-
რამ ისე მრავალნი იყო თვთოული საზოგადოება
რომ ერთის მინდვრითან გადასაზღვების დროს მეო-
რუბზედ, მრავალთ უმრავლესნი სჩანდენ; ისინი იუნენ
გულადნი, ჯონიერნი, შორს მხედველნი, ნიჭიერი და
თავის მოუპარენი. სისხლის იღება იმათში დიდი ჩეკ-
ულება იყო, თითქმის ეს საქმე, მიაწნდათ საფრთხოდ.
ამას გარდა, მუკირმუტულებას და პუშიას იმაზედ

დიდი მოქმედება ჰქონდა, ისეთი მგრძნობელი ხალხი
იყო; უფრო მეტად მოსწონდათ ანდაზები, ზღაპრები
ჯ წინათ თქმულების მორწმუნენიც იუვნენ; ამას გარდა,
იუვნენ მტაცებელნი, მმეინვარენი დ სტუმართ მოუვა-
რეობა მრიელ იყო იმათში გავრცელებული. საჩუქარი
რომ მიეცა ვისთვისმე, მეტად უხაროდა; იმათი კარი
მგზავრისთვის უღიერლოთვს ღია იყო; კრთ ლუკმა ზურს
ჟელას სიამოვნებით გაუეოფდა. ერთხელ რომ არაბ-
თან ზური გეჭვამა, რაც უნდა გაჭირვება გქონდა, მე-
გმლო იმის სახლში უშიშრად შეგიფარებინა თავი. იმ
დროს იმათში ორ გვარი სარწმუნოება იყო როგორც
მრთელს აღმოსავლეთის მხარეზედ, საბეიზმისა დ მა-
გეიზმისა, მაგრამ არაბებს უფრო საბეიზმის სარწმუ-
ნოება ეჭირათ. ეს სარწმუნოება დაეწესებისა სიფას
შეიღსა საბას, რომელიცა მასხია ეგვიპტის პირაპი-
დების ხანგრძელების ძევშ თავის მმისწულ ენობთან. ასე
ანბობენ არაბნი, გითომც აბრაამიც იმავე სარწმუნოების
უფილიერს, იმისნი მთამავლობანიც, თითონ იზრაელიც
დ მოსესაც ეს სარწმუნოება ვითომც დაუმტკიცებინოს,
ღუთის ბძანებით სინაის მთაზედ. ამ სარწმუნოების
კანონით, ღუთერთ სწამდათ ერთი, უოვლის შემოქმედი
დ უოვლის შემძლებელი; იმათა სწამდათ, რომ ვინც
ამ ქვეუანაძი თავის სიცოცხლეს კეთილად გაატარებდა,

ის საუკუნო სასუფეველს მოიპოვებდა. ისე სწამდათ ერვლად შემძლებელი ღმერთი, რომ გონიერი მიას ოებასაც ვერა ბედავდნენ და მიმართავდნენ ლოცვით ან გელოზთ შეამავლობასა. ისინი ჰიონებდნენ ეს ან გელოზნი სცხოვ-რობდნენ ცაში და ეჩვენებოდნენ ვარსკვლავებად ვარს კვლავნი მიაჩნდათ ან გელოზებად. ბოლოს უკანასკნელს დოს ეს სარწმუნოება წენარ-წენარა რა დაუცა, უცებ იქამდინ დასდაბლდა, რომ დაუწეს კერძებს თაუგანის ცემა, ვარსკვლავები ან გელოზებად რომ მიაჩნდათ, იმათ დაუწეს თაუგანის ცემა როგორც თვთ ღმერთია, ბოლოს დოს იმ ვარსკვლავების ნიშნად ამართეს ადგილ ადგილ სხუა და სხუა გვარი ვამოსა-ტულება, აუშენეს ტამრები და დაუწეს თაუგანის-ცემა, უოჭელ კაცს ეგონა, ცაში საგუთარი ვარსკვლავი ჰყავნ-და და იმის პატივის ცემის ნიშნად. აკეთებდა რაღაც ნიშანს, დაუუდებდა და იმაზედ ლოცულობდა, იქამდინ დაუცა ეს ერი, რომ კერძებს მოუქანდნენ შეილს მსხვერ-ზლად და იძის წინ ცეცხლში სწავლდნენ, შეორე სა-რწმუნოება იუ იმათში მაგისა, რომლის დამუშავე-ბელი იუ ზუნდავესტის წიგნი როგორც მოგვითხ-რობს კერძოთ თაუგანის მცემელთ წინასწარმეტყველი, ზაროასტრი. ეს სარწმუნოებაც პირველად იმ გვარი

იუო, რომ სწამდათ ერთი ღმერთი, მაგრამ ბოლოს ჟამს ესეც ისე შეიცვალა, როგორც სრბებიზმისა. იმათ არც ტამრები ჰქონდათ, არც სხეული სახლი გერბებისათვის, ამათ ეგონათ ღმერთი სცხოვრებდა მზემი დამცხათვის მზესა სცემდნენ თავებანსა, ამ თან სარწმუნოებამი, საბედიზმის სარწმუნოება უფრო გაგრცელებული იუო არაბეთში, მაგების სარწმუნოებას უფრო ისინი მიზდევდნენ, რომელნიცა ხმირად დადიოდნენ ალებ-მაცემობისათვის სპარსეთში. უკანასკნელს დოკში ებრაელთა სარწმუნოებაც შეერიგა არაბებში ამ მიზეულით, რომ, როდესაც რომაელთა ააოხრეს ჰალებსტინი და იურუსალიმიც აიკლეს მტრებმა. ეპრაელნი გამოქალიბდნენ ზოგნი ერთნი შეუერთდნენ არაბებს და შემოიტანეს თავიანთი სარწმუნოება, ამათი სარწმუნოების ლოგი ერთი წესებიც შემოიტანეს არაბებმა თავიანთ სარწმუნოებაში და როგორც მდიდარნი ხალხნა, არაბებზედ დიდი მოქმედებაცა ჰქონდათ, თითქმის ქრისტიანობის ნიშანიც მისვდათ არაბებს. თვითან მოციქული ჰავლე ერუილიერ აქ, მაგრამ რაღაცა აღრეულობის გამო მალე მომორებოდა; და თუ ქრისტიანი იუო ვინმე განდეგილი, მიურუებულს მთებში, ჩუმათ იმუოვებოდა.

როგორიც სარწმუნოებით იუვნენ არაბები გაცალკევებული, ისე სხუა საქმემიაც. იმათ ერთობა სოულებით არა ჭირდათ, უველი საზოგადოება ფალკი იწევდა დერთი საზოგადოება მეორეს, მტრის თვალით უურიბდა. არ იუო იმისთანა მალა, რომ ეს მეომარი დღიდ ძალი სალსი შეაერთებინა და გაეძლიერებინა.

ბოლოს მოვიდა ღრო და ეს ერთმანერთის მტერნი ერნი შეერთდნენ ერთად, მეერთდნენ ერთის სარწმუნოებით, გამნევდნენ საზოგადო საქმის წარსამატებლად. გამოჩნდა შემძლებელი გენიოზი, რომელმაც ეს გაფანტული და გაცალკევებული ერი, ერთად შეერიბა, შოაბერა თავისი გენიოზური სულის ძალა და დაიწყერა ქვეშის სიმრგვლის მეფობა.

თ ა ვ ი Ⅱ,

მაჰამარის დაგადება და იმისი ნათესავი. იმისი მცირე ჭლოვანება და ცემაჯვილის ცხოვრება.

დამფუძნებელი ისლამის სარწმუნოებისა მაჭიადი, დაიბადა ქალაქს მეკამი, ქრისტეს შობითვან **569** წელსა. ის იუო ნათესაობით განთქმულის კორეიშიტის

გვარისა, ოოქელს გვარშიაც მომდინარეობდა ორი
შტო, ორთა მმათაგან. ეს ორნი მმანი იუვენ: გამე-
მას და აბად-შემასი. გაშემა, მაჭვმადის წინა ზარმა-
მეკის ქალაქს დიდი სამესახური აღმოუჩინა, ეს ქალა-
ქი მდებარეობდა უნაუოფო მიწაზე, ქვიშაანზე და ქ-
მიანზე, ასე რომ ამის მიზეზით უოველთვის თითქ-
მის შიმშილობა იყო. მექვე საუკუნის დასაწყისში
გაშემა, დაწესა, უოველ წელიწადს გაეგზავნა აქლე-
მების ქარვანები თრჯერ უცხო ქაშუნებში პურების
მოსატანად. ერთს ქარვანსა გზავნიდა ზაფხულში სი-
რიაში, ხოლო მეორე ქარვანს ზამთარში სამხრეთის
არაბეთში, ანუ იემენში. ამისა გამო, მემკის ქალაქში
დაიწეს ზიდვა ბლობად სასმელ-საჭმელისა და სხეუ-
ლ სხეუ გვარ საქონლისა. მეკა გადაიქცა სავაჭრო
ქალაქად, ხოლო კარეიშიტის გვარმა, ოოკორც სიუ-
ლი პატაფის ცემა შეიძინა გამემბა სასოგადოებისაგან,
ამცსათვის ჩააბარეს იმას, თავიანთ სამზაოცემელო, რო-
მელცა ჭირნდათ და რომელსაცა ეწოდებოდა ქაბა. ეს
იყო ამ ქაბის გამგებელი და მომლელი, ამ ქაბაში
მოდიოდნენ სალოცავად, მრთელი არაბები.

გამემბის სიკედილის შემდგომს, იმისი ადვილი
დაიჭირა იმისმა შეილმა აბად-ალიორცალლებმა, ამან

გამოისწავ ქალაქი მეტა მტრისდაცემისაგან და ამით უფრო საღსმე დაუმტკიცა საშეილისშეილოდ ქაბის საძლოცელოს მშართველობა.

აბდ-ალ-მოტალლებსა ჰევანდა მრავალნი მენი და ასულნი. იმის შემთხვებთაგანნი ისტორიაში ცნობილი არიან: აბუ ტალემ, აბუ ლაჩამ, აბბაზ, გამზა და აბუ დალლას. ეს უკანასკნელი შეილი იუო გველტხედ პატარია და ჟელასაგან საუკრაელი. ამან შეირთო ცოლადი, ერთი თავისივე შორეული მოგვარის ქალი, რომელსაცა ეწოდა ამინი, აბდალას ისეთი მშექნიერი გაე ქაცი იუო, რომ ქალები იმის სილაბაზისაგან გიუ დებოდნენ, უკეთუ გერწმუნებით მუსულმანთა, იმათში თქმულებაა, გითომც იმ ლამეს, რა ლამესაც აბდალასმა იქორწინა, ორასი ქალი მოუვდა იმის სიუკარულისაგანაო.

მაჭმადი იუო ამ ქორწინების ჰირველი ნაუოფი. იმის დაბადების დროს, როგორც ანბობენ მუსულმანნი, დიდი სასწაულთ მოქმედებანი მოხდნენ. შობის ქამს, დედამ არა გითარი მტკიცნეულება იგრძნო; იმ წამში, როდესაც იშტა, ზეციურმა ცეცხლია სრულებით განანათლა მეცის გარემოება და ასლად დაბადებულმა, რა მიმართა თვალნი ზეცისა მიმართ, მაღალის სმით

შესძახა: «დიდო ღმერთო! არა არს ღმერთი, თუნიერ
ღურისა, და მის წინასწარ-მეტყველის მაჭმადისა!»

როგორც გვარწმუნებენ არაბნო, ფა და მიწა შეიძლე-
ნენ; საბას წინა კიდიდგან გადმოსკდა და სრულიად
დაშრა; მდინარე ტიბრი ალელდა და წარლენა გარშე-
მო მიწები. სპარსეთის მეფის სოზოოის სასახლე
დაინგრა საძირკვლიანად. იმ საშინელს დამეს ჰასისე-
თის მოსამართლემ ეყრდნა ნახა სიზმარი, რომ გააფთ-
რებული აქლემი ერთმა ფალაფანმა დაამშეიდა. მეორე
დღეს ეს სიზმარი უანბო თავის კლიმითებს და აუსნა
სიზმარი ესრედ, რომ სპარსეთი დიდ შიმს მოელის
არაბეთის მსრიფაო. იმავე მაჭმადის შობის დამეს,
ზორიასტრის წმინდა ცეცხლი, რომელიცა ენთო
გუჯრობლად სამლოცველოში რამდენიმე ათასი წლის
განმავლობაში, უცემ გაქრა, და კერძები მის გადმოცა-
ვივდნენ. ბოროტნი სულნი, რომელიცა სცხოვრებდა
ნენ გარსკლავების უკანა მსრივ მოფარებით, გადმო-
ერილ იქმნენ ანგელოზთაგან დაიღუპნენ საუკუ-
ნოდ დიდს ოკეანოს სირდეში. ნათესავნი ასელად
შობილისა სიხარულით და განცვილებით მოცულნი
დგვნენ; იმისმან დედის მმამან, რომელიცა იუო ვარს-
კვლავთ მრიცხველი, გამოუცხადა მეცას ქალაქის

მცხოვრებელთ, რომ ახალად ნაშობი შეიქმნება ქვეუნის ბმანებელიო, დააფუძნებს ერთს ღიღს სამეფოს და დაწესებს ახალსა სარწმუნოებასათ. მეშვიდე დღეს ემაწვილის პაპამ აბუ-ალ-მოტალებმა, გამართა მეჭლისი და მოიწვია დარბაისელნი კორეიშიტნი; შეა ზურის ჭამის დროს მოცეანა ახალად დაბადებული ემაწვილი და აჩვენა სტუმრებს, რომელთაცა პირები დააღეს განკვირებისაგან, რადგანაც გარემოცულის ნათელს სრულებით მოცემა ჩვილის პირის-სახე. ემაწვილს უწოდეს მაჭმადა, ანუ მუხამედი.

მუსულმანთა მწერალნი ასე ამ სახით მოგვიათხოვდებინ იმის სასწაულთმოქმედებაზედ; ამ გვარზეა ზრების გარდა, ჩელინ მაჭმადზედ მრიელ მცირედი ცნობა გვაქს, ორი თვისა არ იყო ჯერ კიდევ, რომ მამა მოუკვდა; არა ფერი არა დარჩენა რა ქონება, გარდა ხუთის აქლემისა, რამდენიმე ცხვრისა და ერთის მოახლისა, რომელსაცა ერქვა ბარაკატა. ორ თვემდინ დედა ამინა აწოებდა მუშა და როდესაც დაუძრა, ქმრის სიკვდილის მწერალების მიზეზით, მამინ დაუწეუ მიძას მებნა, მამები ჩამოვიდოდნენ მთის სალსათვან, ემაწვილების ასაუვანათ, მაგრამ ისინი უფრო მდიდრებს ეტანებოდნენ, ვიდრე დარიბებისა და

ამ დარიბი კაცის შეიღლს სელს ვინ მოჰყიდებდა. ბოლოს ერთს მწევების ცოლს შესტკივდა გული, რა შეებრალა მაჭიშადის სიღარიბე, მოჰყიდა სელი და წილი განა თავის სახლში. ამ მეორე დედას ერქებ სალემა.

სალემა მოსთქეამდა ბევრის საკუირველებას მაჭია-
ზის გამო; ფითომც, როდესაც სალემა სახედარზედ
იჯდა და ემაწვილი მეცკითგან მიჰყვანდა თავის სახლ-
ში, გზაზედ სახედარმა ენა მოიცა და მაღლის სმით
გაძოდებოდა, ჩემის ზურგით მიმუავს დიდი წინასწარ-
მეტეველი და დიდი საუფარელი უოვლად შემძლებელის
და ერთისაო. გზაზედ ცხვრებს რომ შეხვდებოდნენ,
თავს უკრავდნენ და მთვარე გარდამოსვდა ზეცით, იმ
დამეს შინ რომ მიიუვანა მიძამ, მჩერავემ მირს დედა
მიწაზედ თავი მოუხარა ემაწვილს და ისევე ავიდა თა-
ვის ბინაზედ.

არაბეთის მწერალნი მოგვითხრობენ, რომ კურთ-
ხევა ღუთისა იმუოვებოდა სალემას სახლში იმ დღის
თვან, რა დღითგანაც უსაწვილი მიიუვანა თავის სახ-
ლში. უოველივე ღვაპის საქმე გეთილად წარიშართე-
ბოდა; საძოვარი მიწები ცხვრისათვის, ზამთარ ზაფ-
ხულ მწვანედ ბიბინებდნენ; საქონელი ერთი ათად

გაუმრავლდათ; დღი პურისა და ლეინის მოსახლი ჭირდათ უოქელ წლივ და შეიძლობა სუჟეკტა მარად დღე იმათს თვასში.

არაბეთის მელეგუნდენი გვარიშენებენ ვითომც, ექვსის თვისა რომ შეიქმნა, ფეხზედ თავისუფლად დგებოდა; შეიდის თვისა დარბოდა, რვა თვისა, უმაწუ ვილებში თამაშობდა და შერდულს ისროდა, ათის თვისა წმინდად ლაპარაკობდა, და მეთერთმეტე თვეში, ისე ქადაგებდა, რომ მსმენელნი გაყვირვებაში მოჰქვანდა.

ოთხი წლისა რომ იუო, მიმის შეილი და ის რომ მინდოოში თამაშობდნენ, უცებ მოველინა ზეცით მთა- ვარ-ანგელოზი გაბრიელ, გადაუსხინა მაჭმადას მკერდი და ამოაცალა გული, რომელიცა განწმინდა რა და გაა- სუფთავა, ისევე ჩასდგა თავის ადგილს. ანბობენ იმ დღითგან იწეო წინასწარმეტეულებაო და იმის სიტუ- აცებს მიეცათ ღუთიური ძალაო. ამ დროსვე, ანგე- ლოზმა ბეჭებულება დაასვა წინასწარმეტეულების დაღიო. მაჭმადას მიძას და იმის ქმარს ეს საწაული რომ შე- იტეს, შეემინდათ, ჩეტი სელში უმაწუვილს არა დაემარ- თოს რაო, აუჯანეს, ჩამოიუვანეს მეკაში და ჩაბარეს თავის დედას, აქ სცხოვრებდა მაჭმადა დედასთან. რო-

დესაც ექვეი წლისა შეიქნა, დედამ წამოიუანა ქალაქს
მედინაში, სადაცა ჭევანდა თავისი სამშობლო; ოოდე
საც ისევე უკან მობრუნდა და შენთვენ მოდიოდა,
გზაზედ მოგვდა ამინა და დაიძარხა სოფელს აბვაში,
მეყვის და მედინას შორის. ბოლოს, ოოცოც მერე
შევიტოვთ, შვილი სშირად მოდიოდა დედის საფლავ
ზედ, ო იგონებდა იმის მშობლიურის ამაგს და ლო
ცულობდა.

ერთი მსოლოდ მოახლე ბარაკატი შერჩა მაჭმადას
სახლში, ეს შეიქმნა ახლა^{*} მაჭმადის დედა, ოომელმა-
ცა მიღვანა პაპასთან აბდ-ალ-მოტალებთან, გისთანაც
იმუოვებოდა ორი წელიწადი. აქ მალიან უჟარდათ და
ალერსიანად ექცეოდნენ მაჭმადსა. მაგრამ, ამასაც რა
მოუახლოვდა სიკვდილის დრო, მოუწოდა თავის უზ-
როს შვილს აბუ-ტალებს და იმას ჩააბარა მაჭმადი, კი
თილმა აბუ-ტალებმა გულში ჩაიკრა უმაწვილი და შე-
იქნა იმ დღითვან მაჭმადის მეორე მამა. რადვანც, ოო-
გორც სამკვდიდო, იმას ებარა სამღლოცველო ქაბბ,
სახლშიაც ისე იქცეოდნენ, ოოგოროც შეშეენის სასული-
ერო წოდების თვასის სახლსა, ამისათვის მაჭმადოც

ეჩვეოდა' ჭ' შეისწავლებდა საღმრთო ქცევასა ჭ' მახრულო ბასა. ქაბაზედ ვიღაპარაკეთ ჭ' ჯერ არ გვითქვას, თუ საიდან წარმოდგა ქაბაჭ' რადამოკიდებულება აქეს მუსულ მანთზედ.

თ ა ვ ი III.

მეპარი ჩალაპის და ჩაგის მოთხოვთა.

როდესაც ადამ ჭ' ევა, როგორც მოგვითხრობენ არაბეთის მატიანენი, გამოგდებულნი სამოთხოვან, დადიოდნენ აქა იქ სხეულ ჭ' სხეულ მხრისაკენ; ადამ უფრო მეტად დადიოდა სარანდიბის მთებში ანუ ცეილონისა, ხოლო ევა აბრაბეთში, მეწამულის ზღვის კიდეებზედ. ორასი წელიწადი გზა დაბნეულნი ამ უოფაში იუნენ ერთი მეორისკან დაძორებულსი იქამომდენ, ვიდრე არ შეინანიეს, ბოლოს იმათი თხოვნა შეიწენარა ღრმერთიან ჭ' ერთად შეიუარენ არარატის მთაზედ, ქალაქ მეკეის ასლოს: ადამიან მწუხარებით აღუვლინა ღმერთს გულ-მსურვალეთ ლოცუა ჭ' სთხოვა და მოეცა იმ გვარი სამლოცველო ღმერთს, ანუ სამსხვერპლო, რა გვარიცა ჰქონდათ მათ სამოთხეში, საღაცა დაჭალობრნენ ანგელოზი ღუთისა დიდუბასა.

ადამის ლოცვა შესმენილ იქმნა. სკინა, ანუ ტაძარი, გარეშემოსევული სტეტაკ დრუბლებით, ანცელოვ ზებმა მოიტანეს ზეცითგან კელ და კელ დასდგეს, სწორეთ იმგვარი, რა გვარიც იუო სამოთხეში, ამ არარატის მთაზედ ამ დღითგან მოდიოდა ადამ ამ სამსხვერპლო იტლოცლობდა; დღეში შედევრ შემოუვლიდა ამ სამსხვერპლოს იმის მზუაჭად, ვათარცა ანგელოზი უფლიან უოველ დღე გარშემო დმერთსა.

ადამის სიერდილის შემდგომს, მოგვითხრობენ იუვე მემატიანენი, ისე სამსხვერპლო სან მიქანდათ ანგელოზებს და სან მოჟქონდათ. ბოლოს დროს იმ სასის სამსხვერპლო ქვითკირისა ადამენა ადამის შეილმა სიფამ, მაგრამ ესეცა სამსხვერპლო დანგრეულ იქმნა წარდგნისაგან. გავიდა რამდენიმე საუკუნე და ბოლოს ჟამის, ჰატრიარქობის დროს, როდესაც ადარი თავისის პატარა შეილით იზმაილით კვდებოდა წეურულით, იმ ალავის ახლოს, სადაცა იდგა სამსხვერპლო, ანგელოზებან მოუვლისა მიწიოვან წეარო, რომელსაცა უწოდებჩ ზემსუემს და, რომელიცა დღებნდღამდინ არის როგორც საღმრთო კუთხის ილება მაჭამდინელებისა. უცებ წააწერენ ამ წეაროს და რომ მოიკლეს წეურვილი, მიღებანეს აქ თავიანთი ამჩხნავ-

ნიცა. იმათ აქ აღაშენეს ქალაქი, იშმაელიც თავისის
დედით თვითან შეითვავეს. როდესაც იზმაილ მოიხატა
და, შეირთო ცოლი, გაუჩნდნენ ბევრნა შეილები. უკა-
ნასკნელს დორში, დურთის ბძანებით ამ იზმაილმა
აღაშენა იგივე სამსხვერპლო იმავე ალაგს ქაბაში.
როდესაც შენობა კეთდებოდა იზმაილს თავისი მამა
აბრაამი ცაჟშელებოდა. აბრამ შენობის დორს ხმარობ-
და ერთს დას ქუასა, რომელსაცა ხან ერთს ალაგს მიი-
დგავდა კედელთან, ხან მეორესთან, რადგანც ხერახოსავით,
ჭედა დებოდა. ეს ქუა დღესაცა არის, რომელზედაც ხედამენ
შატრიარსის აბრაამის ფეხის ნადგამის კვალსა. ეს ქუა
შენობის დორს ხერახოს მავიერ მოუტანა თუთან ან-
გელოზმან გაბრიელ; ზოგნი ანბობენ, ვითომც ეს ქუა
იუოს სამოთხიდგან და გადმოგდებული იმ დორს, რო-
დესაც ადამ სამოთხიდგან გამოავდეს, ბოლოს წარდ-
გნის დორს დაიყარება ჭ საღლაცა მიწის ქეებ მოჰუპა,
სადაცა ეცდო იქამდინ, მინამ გაბრიელ მთავარ-ანგელოზ-
მან არ იძოვნა ჭ არ ამოიღო. ზოგნი ანბობენ, ვი-
თომც ეს ქუა ერთიანიერს ოდესმე ანგელოზი, რომე-
ლიცა ღმერთის მიეჩინა ადამისათვის ურის-საგდებლად
სამოთხემა, რადგანც ადამს რიგინად უკრის არ უგდებ-
და, ამისათვის როგორც ადამს გაუწერა ღმერთი, ისე

ამ ანგელოზსაც გაუწერა, ქუთა გარდააცია და სამოთა სიდგან გამოაგდო. ქუთა ესე, ბოლოს აბრააბმა დაიწა-
მაელმა, ტამრის ერთს კუთხეში მოაუოლეს. მლოცველ-
ნი ორდესაც მოდიან ქაბაში, რამდენსაც შემოუვლიან
სამლოცველოს, იმდენს ამ ქუთას მოწიწებითა ჰქოცნია
ან. პირველად ორდესაც დაატანეს ეს ქუთა კედელში,
ხაჭირველი საქეტაკი თეთრი იულ, მაგრამ ბოლოსა და
ბოლოს, თან და თან გამავდა ცოდვილთაგან, ბეჭრის
კოცნით. მეორეთ მოსვლის დროს ისევე ეს ქუთა ანგე-
ლოზად იქცევა და მოწმად გაჭერიბა წინაშე ღურისა
იმ მართლმორწმუნეთა, ოომელთაცა ქაბაში ერთგუ-
ლად აღუსრულებიათ წერი. ასე ანბობენ არაბეთის
მეისტორიენი ამ ქაბაზედ, ზემ-ზემის წეაროზედ და ქუ-
ზედ, რომელსაცა მრიელ ლოცულობენ აღმოსავლეთის
ხალხი იზმაილის შთამომავლობანი. მეკაში, სადაცა
არიან ზემო აღწერილნი საგანნი, მოღილენენ საღო-
ცავად მრთელი არაბეთის ხალხნი მაჭადის წინათაც.
ეს სარწმუნოებით ჩვეულება ისე დამკვიდრდა ხალხში,
რომ უოველ წელიწადს ოთხის თვის განმავლობაში,
ქაბის ღღეობას, რაც უნდა ომები უოფილიერ, უნდა
შეეწევიტათ და უოველივერ ამ ქვეუნის ბიწიერებასათვეს
თავი დაენებებინათ. გადაკიდებულნი და მტერი ერთ

არაბეთის შთამიომავლ აბა მეორეზედ, ქაბაში სამლოცველოდ უშემრად მოღილდნენ, დღეში შეიდჯ, რ შემოულივდნენ, ანგელოზთ მიბამვით რამდენსაც შემოუვლიდნენ ჸეოცნიდნენ იმ წმინდა ქუასა დ სელპირის იბანდნენ ზემანემის წეაროზედ, ნიძნად იზმაილის მოკონებისა. ეს ჩვეულება მაჭმადიანებში დღევანდლამდინ არის დარჩენილი დ დიდი ცოდვა არის იმ თათრისათვეს, რომელიცა თავის სიცოცხლის განავლობაში ერთხელაცარი არ წავიდა სალოცავად ქაბაში.

არაბეთს ჸქონდათ სამი მარხვა წელიწადში. ერთი შეიდ დღეს, მეორე მარხვა ცხრა დღე დ მესამე ოცდათი დღე. ისინი ლოცველობდნენ დღეში სამ ჯარ, მზის ამოსვლისას, შეადგისას და საღამოზედ მზის ჩასვლის დროსა; როდესაც ლოცველობდნენ, პირი უნდა ჸქონოდათ ქაბისაკენ. ზოგიერთი ჩვეულება ებრა ელთავანაც ჸქონდათ მცლებული დ ხშირათა კითხულობდნენ ფსალმუს, რომელიცა, როგორცა ჸვონებდნენ დაწერილი იყო სიფასაგან.

რადგანც მაჭმადი ქაბის მცველის სასლში იზრდებოდა, ამისათვეს დიდი მოქმედება ჸქონდა საწმუნოებას ამახედ, რადგანც სიურმითვანგე სულ სამღრთო საქმეს შეჩვეული იყო დ ხშირად დაფიქრდებოდა

თუმცა არაბები მიაწერენ იმის გენიოზობას, და ზეციურს სასწაულს, მაგრამ ჩეტი ეს ვიცით რომ ის არსად სწავლაში არ იყო გაზრდილი, როგორც სხუა არაბის შეილები და ამას გარდა არათუ სწავლა ჭიონდა, წერა და კითხული არ იცოდა. მაგრამ უმაწვილი მრიელ გონიერი იყო, მასვილი გონება ჭიონდა, იყო გამბედავი და პირ-მიუფერებელი. რადგანც ერველ წლივ დიდი მღლოცველნი მივიღოდნენ ქაბაში, რომლის დიდს გალავანში მაჭიმადი იდგა მღლოცველებთან და თავის ბიძასთან, ამისათვის მაჭიმადი სხუა და სხუა ასალი ანბავები ესმოდა, ეს ანბავები მოჭიონდათ მღლოცველებს თავიანთ ქვეუნებითგან; ამ ასალ ანბავებს დიდის უსრადღებით მოისმენდა მაჭიმადი და ღრმად ენერგებოდა გულში და რაძლენიც ისრდებოდა, იმდენი სხუა და სხუა ქვეუნების ანბავების შესწავლება ემატებოდა.

თავი IV.

პირველი მოგზაურობა მაჰმადისა სირიაში.

ასელა მაჭიმადი თორმეტის წლისა იყო, მაგრამ გონიერებით თავის ტოლებზედ გადაჭარბებით მეტი

იუ. ამას ღიდი სურვილი ჰქონდა ანბავების გაგებისა და შე ახალის ვითარების ცნობისა, ამის ბიძას აბუ-ტალების სირიასთან ღიდი აღებულებობა ჰქონდა და ქარვანებთან ღიდი დამოკიდებულობაცა როდესაც ქარვანები შეიტებოდნენ მეცნის ქალაქის მეიდანზედ სირიაში წასახლელად, მაჭმაღს გული უცემდა, რადგანც ღიდად უნდოდა უცხო ქვეწის ნახტა. ბოლოს ვერაც შეიმაგრა თავი და ერთხელ, როდესაც ამისი ბიძა მიღოდა ქარვანით სირიისაკენ, მაღვა თავის ბიძას მაჭმაღი და ეწვევის ბოდა, მარტო არ დაეცდო სახლში და ესუც თან წაეუვანა.

თუთან აბუ ტალებიც ფიქრობდა, რომ ღრიუ უმაწვილი შესდგომოდა თავის მამა-ჯაპათ სელობასა და ისც გამოსადევი იქნებოდა ქარვანში და ამის თვის თავისი მმის წელი სიხარულით წაიგვანა სირიაში.

გვა მდებარეობდა მდიდარი ბუნების შეა, მიდიოდა ქარვანი და მოქარეანენი გვაზედ შექცეოდნენ ზდაპრებითა და ასე დროს გართვით მიღიოდნენ; იმ ზღაპრებში, რასაკვირველია ისმოდა საკვირველება ღუშებისა, ფერიებისა და იმათი თვალთ-მაქანისა, ეს ღიდად მოქმედებდა მაჭმაღის გონებაში. ამ გვაზედ მაჭ-

მადმა მოისმინა ერთი იმ გვარი ულაპარი, რომელია ფა ბოლოს დორის ჩაურთო თავის უორანში. აი რა ზღაპარი თქვეს:

გზაზე ერთის მთის წყლისებ დაინახეს ურცესები გამოქვაბულები, სადაცა მინამ მოვიდოდა ქვეწად პატურიარი აბრამი, სცხოვოებდნენ დევები. რადგანც ეს დევები ბოლოს შეიქნენ კერძოთავანის მცემლები, ამისათვის დმირთმა მოუვლინა წინასწარმეტეველი სალევი, რომ დაევენებინა ეს თესლი სწორე და ჭემარიტე გზაზე. დევებმა არ მიიღეს და ეტეოდნენ, ჯერ სასწაული რამ გააჩვენე და მერე წინასწარმეტეველად მივიღებთო; უთხრეს, აბა მიწითვან უცებ მაკე აქლემი დაბადეო. სალესმა ილოცა და ნახეს რომ დედამიწითვან მაკე აქლემი ამოვიდა. ამის მიზე სიც ბევრმა თავი დაანება კერძოთავანის მცემლობას, მაგრამ ბევრნი ისევე დარჩენენ მველს ჩვეულებაზე, სალესმა დაუტევა იმათ აქლემი იმის ნიშნად, რომ მოეცონებინათ, უგეოუ ამ აქლემს დაუძავებდნენ რასმე, ჟეცა დასჯიდა მათ ეს აქლემი იმდენს იწველიდა, რომ რაც დევები უფრენენ მთაში, ეველასა ჭეოვნიდა. მაგრამ რადგანც მინდორზე სხუა აქლემებს ამისაგან მოსვენება არა ჭირნდათ, ეს წმინდა აქლემი დაკლეს. ამაზე ცა გან-

რისწდა, შემოისმა გვიგვინვის ხმა ჭ მეორეს დილით
ნახეს რომ პრთელი ამ დევების ტომიდა სრულებით
გაწერა.

ამ ანბავმა ძრიელ იმოქმედა მაჭმაღედ ასე რომ,
უკანასკნელს დროში როცა უფლება მოიცა, თავის
ხალხს ნებას არ აძლევდა იმ მთას ახლო მიწყარე-
ბოდა.

სხუა ზღაპარი მოისმინა კიდევ მაჭმაღმა კჟაზედ.
მეწამულის ზღვის კიდეზედ ერთი ქალაქი მდებარეობდა,
რომელსაც ეწოდებოდა ეილა. ადრე აქ იდგნენ ებ-
რაელნი, რომელთაც დაუწეს კერპებს თაფენისაცემა
ჭ შეურაცხჭევეს შაფათი, რომელს დღესაც იჭერდნენ
თევზსა. ზეცამ დასაჯა: მოხუცნი უცებ ღორებად ვა-
დაიწნენ, ხოლო ახალგაზდანი—მაიმუნებათა.

ეს ორი ზღაუარი აქ ამისათვის მოვიუგანეთ, რომ
მაჭმაღმა მოაქცია ეს ორივე თავის უორანში, იმის
მაგალითად, თუ როგორ ურისკდება ზეცა, ვინცა მის-
დებს. კერპთ თაფენისამცემლობასა.

არაბეთის მწერალნი გვარწმუნებენ, რომ როდესაც
მაჭმაღი მიზდევდა ქარვანსა, ზეცა ჭიჭარვიდა მას ჭ
უხილავად ან გელოზი ფრთებ გაძლილი თავზედ დაუჩრ-

დღლებდა სიცხის დროსა, ან თუ გამჩმარ ხის ჭეპ
თავს შეაფარებდა, მაშინვე ის ხე ფოთლებით დაიტე-
რებოდა.

როდესაც გასცილდნენ მოაფიტიანების და იამონი-
ციანების სამზღვარსა, ქარვანი მივიდა ბოსტორიაში,
იორდანის იქით მხარეს, საღაცა იდგნენ მანასენის
ტომნი, ადრე აյ იდგნენ ლევიტიანნი და ახლა სცხოვ-
რებდნენ ნესტორიანთ ქრისტიანები. ეს ქარვანი აქ ჩა-
მოხტა შესასვენებლად.

ერთის იქაურის მონასტრის ბერებმა, სისარულით
მიღეს სტუმრად აბუ ტალები და იმისი მმისწული
მაჭმადი. ერთი ამ ბერთაგანი, რომელსაცა ერქეუა სკო-
გია, დიდად გაჭირდა მაჭმადის გონიერებასა, ისე
ლაპარაკობდა საღმრთო საგანზედ. ნესტორიან ქრის-
ტიანებს კერპები დიდად სმულდათ და არა თუ კერპები,
თვთან სატების თავებანის-ცემაც ცოდვად მიაჩნდათ,
რადგანც კერპობას მ.იაჩვენებდა; თითქმის ჯვარც,
როგორც ქრისტიანობის ემბლემა, მიაჩნდათ
კერპთ თავებანის-მცემლობად, ამ დროთვან ჩაი,
ნერგა გულში მაჭმადმა ქრისტეს სახარე-
ბის შესწავება. ამ ბერს მეტად ჩაენერგა გულში
მაჭმადი და როდესაც შენიშნა ორ მხრებ შეა დაღი,

მაშინათვე მიღოდ წინასწარმეტყველად და ეუბნებოდა მაჟმადის ბიძას, გაებრთხილებინა მაჟმადი, რომ ებარევლოთ არა ევნოთო. ეს ჩეტი გვეონია ამისათვის, რომ იმ ბერს უნდოდა ქრისტიანობაზედ მიუქცია მაჟმადი და ეშინოდა ებრაელთ თავიანთ სარწმუნოება წარმიედებინათ.

მაჟმადი სირითვან დაბრუნდა მეგამი. ზღაპრებით რომელიცა შეეტუო გზაზედ, იმის გონება აივსო სხუა და სხუა შთაბეჭდილებით და მონასტერმაც ისე იმოქმედა იმაზედ, რომ სარწმუნოების ჭაწავლამ გაიღვია იმაში. ბოლოს, სირია უუფარდა, ამისათვის რომ სარწმუნოების სიუჟარული პირველად იქ ჩაინერგა იმის გულში, ბოლოს კამ მაჟმადზე ისე უუფარდა სირია, რომ ასე ლაპარაკობდა იმაზედ.

«კეშმარიტად, უოველთვის სირიას ლმერთი ჰუარევლი და არმოცამდინ მეტი წინასწარმეტყველი მოუვალინა ამ მსარეს. ერთი კვდებოდა, მეორე წინასწარმეტყველი მოდიოდა, იმათვან კურთხეულ იქმნა ეს ქვეშანა. გისაროდენ სირიის ერთო, რამეთუ ანგელოზუთა, ფრთანი მფარველობისა გაუშლიერ თქულენზედ?»

უორანის მემკვსე თავში თქმულია, თუ ვითარ დაანება თავი აბრაამმა კერძობას.

«დ რქუა აბრაამია, მამასა თვისა აზერის:

«ოსათვის კელით გამოქანდაკებულსა მიღებ
ღმერთად? შეშმარიტად შენცა დ ერიცა შენი შემცდარნი
ხართ.

«მაშინ ბჭე ცისა განიხვნა, ოთა ისილოს აბ-
რაამია, თუ ვითა განაცემს ღმერთი ქუცენად.

«დღეს იმინა ლამე დ სიბნელემ ღაჭურა ქუცენა,
მან ისილა ბრწყინვალე ვარსკელავი, მანათობელი
ქუცენად დ ჭრქუა ერსა თვისა: ესე არს, თქუცენისა
რწმუნებით, ღმერთი.

«ხოლო ვარსკელავი განქრა დ აბრაამან სთქება: მე
არა მრწამს ღმერთი, ომელნიცა ჭრებიან.

«რა ისილა მთვარე, სთქეა, ოსაკვირველია ესე
არს ღმერთი, (გარნა მთვარეცა ჩავიდა. რა შემრწუნდა
დ თავანისცა ღმერთსა.) მაჩვენე გზა შენი მე ღმერთო,
რამეთუ არა შევიქნე მზგავს ერისა ამის, ომელსაცა
გზა დაბნევია.)

«ოდეს ისილა მან მზე, სთქეა; აი, უოველთ ცის
მნათობებზედ უკეთესი, ეს სწორეთ ღმერთი უნდა
იყოს! გარნა მზეცა რა ჩავიდა, მაშინ მიუბრუნდა
ერსა თვისა აბრაამ: ჴე ერნო ჩემნო, მე არა მრწამს

ნივთიერებანი იყო, რომელთაცა სადით ღმერთებად. ჟეშმარიტად, მივმართავ პირსა ჩემსა უკვლისა შემოქმედისადმი, რომელმაცა შექმნა ცა და ქუცეანა.

ତନ୍ତ୍ରଗ୍ରହ ପ୍ରକାଶକ

მაჟუმაღის გაჭრობა და ქაჯივას ცოლად შერთვა.

მაჟიშადმა ახლაკი დაიწუო არაბული ვაჭრობითი
ცხოვრება და ეფელთვს ქარვანებთან დადიოდა. როდე-
ზაც ის შეიქმნა თექვსმეტის წლისა, ბიძა და ის გაე-
მართნენ იქმენის ქვეუნისაყენ; ამის შემდგომს პმისი
ბიძარა ებრძოდა ხავაზანებს კირეიმიტელების დასაცველად,
მაჟიშადიც იქ იმუოვებოდა. აქ გაიღვიძა მაჟიშადის გულ-
ში. სამხედრო ბრძოლის სიუქარულმა. თუმცა თითონ
არა ომობდა და მხოლოდ ისარს აწოდებდა თავის
ბიძასა. როდესაც მაჟიშადი სრული წლოვანი შეიქმნა,
მოქარვანენი იჯერდნენ იმას ფასით, როგორც მოვა-
მაგირეს და გაატანდნენ თუმცანთ ქარვანსა.

ამაში ის იწურთნებოდა და ხალხს თან და თან ემცი ნაურდებოდა.

მეცაში იარმუკობაც იცოდნენ, აქ ვაჭრობის შემდგომს შეიურებოდნენ ხალხი და ღროს გასატარებლად არაებში ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ. ვისაც ლექსის წერა შეეძლო, აქ მოჰქონდათ ნაწერი, კითხულობდნენ და ვისც კარგი პოემა იყო, იმას აჯილდოებდნენ. ბოლოს ეს პოემები არხივში ინახებოდნენ. აქ ბევრს კარგს იტუობდა მაჭადი. აქ იმას ესმოდა ზოგიერთი ხალხის ისტორია, უოველი სარწმუნოების ვითარება. მაჭადი ამას სულ დაწვრილებით ჭრეფავდა, რომელიცა ბოლოს თავის უორანის შესავსებლად გამოადგნენ.

